

၉၈၈၅၆

ა. ა. მილნი

ვინი ფუპი

კლასგარეშე საკითხავი
(6-9 წელი)

ა. ა. მილნი

ვინი ფუჰი

სახლი ფუჰის წილ ტყეში

A. A. Milne

WINNIE THE POOH

THE HOUSE AT POOH CORNER

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ქილაძემ და გია ჭუმბურიძემ

ილუსტრატორი: ერნესტ ჰ. შეპარდი

Text by A.A. Milne and line illustrations by Ernest H. Shepard.

Copyright under the Berne Convention.

Colouring of the line illustrations copyright © 1970 by Ernest H. Shepard and Methuen & Co Ltd.

© 1973 by Ernest H. Shepard and Methuen

Children's Books Ltd.

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013, 2023

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-611-7

www.diogene.ge

სარჩევი

ვინი ფუჰი

თავი პირველი

საცა ვეცნობით თავად ვინი-ფუჰს, ფუტკრების მთელ გუნდს და, საერთოდ, ვინყებთ პირველ განყოფილებას 17

თავი მეორე

საცა ფუჰი სტუმრად წაბრძანდება და ვინროში გაიჭედება 35

თავი მესამე

საცა ფუჰი და გოჭიკო სანადიროდ გასწევენ და ლამის დაიჭერენ კიდევ ჩლიქახტუნას 46

თავი მეოთხე

საცა ი-აა კუდს კარგავს, ფუჰი კი პოულობს 55

თავი მესხუთე

საცა გოჭიკო სპილომონტს ხვდება 67

თავი მეექვსე

საცა ი-აას ერთი დაბადების დღე აქვს, ერთბაშად ორ საჩუქარს კი მიართმევენ 81

თავი მეშვიდე	
საცა კენგუ და პანია რუ ტყეში სახლდებიან, გოჭიკო კი აბაზანაში ნებივრობს	97
თავი მერვე	
საცა ქრისტოფერ რობინი ჩრდილო პოლუსზე ექსპიდიციისათვის ემზადება	115
თავი მეცხრე	
საცა გოჭიკო შიგ შუაწყალში აღმოჩნდება	133
თავი მეათე	
საცა ქრისტოფერ რობინი ფუკ-რა-წვეულებას მართავს, ჩვენ კი ჭერჭერობით ყველას გემშვიდობებით	149

სახლი ფუჰის წილ ტყეში

თავი პირველი	
საცა მეგობრები ფუჰის წილ ტყეში უმენებენ სახლს ი-აას	169
თავი მეორე	
საცა ტყეში ვეფხი გამოჩნდება და როგორც იქნა, სათავისო საუმესაც მიირთმევს	186

თავი მესამე

საცა დიდი ძებნა იწყება და გოჭიკოც კინაღამ
ხელახლა გადაეყრება სპილომონტს 203

თავი მეოთხე

საცა ჩანს, რომ ვეფხები ხეებზე არ დაძვრებიან 220

თავი მეხუთე

საცა ბაჭია ძალიან დაკავებულია და თან იმასაც ვიგებთ,
ქრისტოფერ რობინი რას აკეთებს ხოლმე დილაობით 238

თავი მეექვსე

საცა ფუჰი ახალ თამაშს იგონებს
და ი-ააც მას აჰყვება 255

თავი მეშვიდე

საცა ვეფხს ცოტა შედმეტებიც მოსდის და
აშოშმინებენ 271

თავი მერვე

საცა გოჭიკო ერთ მაგარ რამეს იზამს 288

თავი მეცხრე

საცა ი-აა საბუეს პოულობს და ბუც იქ გადადის
საცხოვრებლად 306

თავი მათე

საცა ქრისტოფერ რობინი და ფუჰი
მოჯადოებულ ადგილს მიადგებიან და
ჩვენც იქვე დავემშვიდობებით 318

ვინი ფუჰი



მხოლოდ შენ ერთს...

მე და ქრისტოფერ რობინი
ერთად გიგზავნით ამ წიგნს –
თავიდან გაგიკვირდება,
გაგიხარდება – მერე...
ვიცი, ასეთს რომ ელოდი,
ჩვენც სიყვარულით ვწერეთ!



წინათქმა

ვთქვათ და უკვე სხვა წიგნიც წაიკითხეთ ქრისტოფერ რობინზე – მაშინ ისიც კარგად გემახსოვრებათ, ერთ დროს გედი რომ ჰყავდა (ანდა პირიქით – იმ გედს ჰყავდა ქრისტოფერი, მაგათსას რას გაიგებ), და სახელად ბუმბულა ფუჰს ეძახდა. ისე, ეს კარგა დიდი ხნის წინათ იყო – როცა გედს გამოვემშვიდობეთ, თავისი სახელი დაგვიტოვა (ამ სახელს, აბა, ჩვენ გარდა სხვა ვინ დაუძახებდა?!). მერე იყო და ედუ-დათუჩამ მოითხოვა – მეც მინდა ჩემთვის რამე განსაკუთრებული სახელიო და ქრისტოფერ რობინს თვალის არ დაუხამხამებია, ისე შეარქვა ვინი-ფუჰი. ახლა, სახელების ამბავი რომ გავარკვიეთ, სხვა ამბებსაც მივხედოთ.

შანსი არაა, ლონდონ-ქალაქს ჩახვიდეთ და იქაური ზოოპარკი არ მოინახულოთ, მაგრამ რად გინდა – ზოგი შესასვლელში რომ შევა, მერე თავს დააღირებს და ფეხსაც არ შეანელებს, სანამ გასასვლელამდე არ გააღწევს. ოლონდ წესიერი ბავშვები ასე არ იქცევიან და მათთვის ყველაზე საყვარელი ცხოველების გალიებთან აუცილებლად შეჩერდებიან ხოლმე. ასე რომ, როცა კი ქრისტოფერ რობინი ზოოპარკში შედის, ჯერ თეთრი დათვების მხარეს გასწევს, იქაურ დარაჯს რალაცას წაუჩურჩულებს და კარიც იღება, მერე ჩაბნელებულ დერეფანს გაფუყვებით,

ქვის კიბესაც ავივლით და განსაკუთრებულ გალიას მივადგებთ, ახლა ისიც გაიღება და იქიდან რალაც ყავისფერი, ბუთქუნა გამობობლდება... ქრისტოფერ რობინი ერთი კი დასძახებს – ვინის გაუმარჯოსო! – და მერე ერთმანეთს ჩაეხვევიან. ასეა, მაშ – სწორედაც ვინი ჰქვია და ამით ძალიანაც კარგად ჩანს, თუ რა გემრიელი დათვური სახელი აქვს დაგდებული.* ოღონდ ეგაა, ჩვენ აღარ გვახსოვს კარგად – ფუჰს შეერქვა ვინი თუ – პირიქით? ახლა მაგას რალა გაიხსენებს...

სწორედ ამ დროს ჩვენმა გოჭიკომაც დინგი ააქსუტუნა და იმ თავისი წყვიტინა ხმით დამეკითხა: – დაიცა, ჩემზე რა – აღარაფერს დანერ?!

– აბა ეგ რამ გაფიქრებინა, მთელი წიგნი სულ შენზე არაა?

– არ ვიცი, არ ვიცი... აკი ფუჰზეაო...

აი, ასეა საქმე: მაგას ჰგონია, მთელი წინათქმა სულ ფუჰზე წინასწარ სალაპარაკოდაა მოგონილი!

მოკლედ, ეჭვიანობს.

არა, გასაგებია, რომ ფუჰი მართლა მთავარი გმირია, ოღონდ გოჭიკოც ბევრი ისეთი ღირსებით გამოირჩევა, ფუჰი რომ ვერ დაიკვეხნის: მაგალითად, დათუჩას სკოლაში ვერ გაიყოლებ თან – მაშინვე ყველა შეამჩნევს; აი, ჩვენი გოჭიკო კი ისეთი პანიაა, ჯიბეშიც ჩაისვამ და გულზეც მოგეფონება ხოლმე ასეთი მეგობრის გვერდში ყოლა – განსაკუთრებით, როცა აზრზე არა ხარ, სიტყვაზე – ორჯერ შვიდი თორმეტია თუ სულაც ოცდაორი! ხანდახან კიდე თავს ამოყოფს ხოლმე, სამელნეშიც ჩაიჭყიტავს ცალი თვალით და, ამდენად, ფუჰზე მეტად განათ-

* ვინიპეგის დათვი – კანადური ჯიშის მურა დათვი, სახელად ვინი, ლონდონის ზოოპარკში სახლობდა 1920-იან წლებში.

ლებულიც ეთქმის... თუმცა ფუჰს ეს სულაც არ ანადვლებს: ზოგი მაგარი ტვინიკოსია, ზოგიც – დიდი ვერაფერიო – იტყვის და ამით მორჩება საქმეს.

ახლა კიდე ყველა დანარჩენიც აჰყვება – ჩვენზე, ჩვენზე რაღას იტყვიო? მოკლედ, ასე ჩანს, ჯობია ამ გრძელ წინასწართქმებს შევეშვა და პირდაპირ მთავარზე გადავიდე.

ა. ა. მილნი



თავი პირველი

საცა ვეცნობით თავად ვინი-ფუჰს, ფუტკრების მთელ გუნდს და
საერთოდ, ვინცებთ პირველ განყოფილებას

აგერ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ისიც მობრძანდება – ბუმპ, ბუმპ, ბუმპ: რა ქნას, ედუ-დათუჩას სხვანაირად არც ეხერხება – აუცილებლად ქრისტოფერ რობინს უნდა მოსდევდეს კუდში და კიბის საფეხურებს უბაგუნებდეს თავს! თვითონ თუ ჰკითხავთ, კიბეს უკეთესად ვერც ჩამოათავებ... არა, შიგადაშიგ კი გაიფიქრებს ხოლმე – იქნება სხვა, კიდევ უფრო უკეთესი გზაც არსებობდესო, მაგრამ ამ დროს ისევ დაჰკრავს თავს საფეხურს და – წამსვე ავინწყდება ყველაფერი... ან ვინ იცის, არც ზედმეტი ფიქრით იტკიებს თავს – არაფერიც არ არსებობს, ეგ არის და ეგო. ასეა თუ ისე, როგორც იქნა, ჩამობრძანდა და დიდის ამბით გაგვეცნო – ვინი-ფუჰს, პირადად!

პირველად რომ მისი სახელი გავიგონე, მეც თქვენსავით იგივე აზრი გამიჩნდა თავში: „დაიცა, აკი დი-დი დათვიაო?“.

– დათვია, აბა რა. – მეთანხმება ქრისტოფერ რობინი.

– აბა ამასაც ვინის რატომ ეძახი?

– არც ვეძახი. ამას ვინი-ფუჰსი ჰქვია.

– ახლა არა თქვი, ვინიო?!

– არაფერი ეგეთი არ მითქვამს! გითხარი – ვინი-ფუჰსი...

შენ რა, დიდი და პატარა დათვები არ გაგიგია?

– კი, როგორ არა, ახლა მივხვდი... – წამსვე დავეთანხმე და ეგება თქვენც მიხვდით, თორემ, აბა, სხვა ახსნის იმედი ნურც გექნებათ. თუ მაინცადამაინც, ისევ უფროსებს დაეკითხეთ.

დროდადრო ვინი კუთხეში ზის და თამაშობს თავისთვის, ხან კი უყვარს, როცა ბუხარს მიუჯდება და რაიმე ამბავს მოუყვებიან ხოლმე. ამ სალამოსაც ზუსტად ასე მოხდა:

– რამე რომ იყოს, ამბავს არავინ მოყვება? – კითხულობს ქრისტოფერ რობინი.

– რა ამბავს? – ვეკითხები.

– რა ვიცი... აი, მაგალითად, ვინი-ფუჰს რომ მოეწონოს.

– მერედა მაგას როგორი ამბები მოსწონს? – ვეკითხები ისევ.

– უფრო დათვებზე. თვითონაც დათვია და...

– ა-ჰაა, ახლა გასაგებია.

– მერე, მოუყვები?

– შევეცდები.

და აი, ვცადე კიდევ.

ძალიან-ძალიან დიდი ხნის წინათ, სულაც ალბათ გასულ პარასკევს, ვინი-ფუჰი თავისთვის ცხოვრობდა ტყეში – ვინმე სანდერსის სახელქვეშ.

– რას ნიშნავს „სახელქვეშ ცხოვრობდა“? – იკითხა ქრისტოფერ რობინმა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ კარის თავზე ოქროსფერი ასოებით ეწერა: ბ-ნი სანდერსი...

– და ვინის ეს სულაც არ მოსწონდა, არა?


– არაფერიც. – მოისმა ვილაცის ბურღღუნის.

– ძალიანაც კარგი! ახლა გავაგრძელებ, თუ შეიძლებაოდეს... – ვთქვი მე.



ერთ მშვენიერ დღესაც ვინი-ფუჰი სასეირნოდ გავიდა და ზედ ტყის შუაგულში, მდელოზე წამომართულ ერთ დიდ მუხას მიადგა. უცებ ხის მთლად კენწეროდან ძალიან-ძალიან ხმამაღალი და თან ძალიან-ძალიან საეჭვო ბზუილ-ზუზუნი მოესმა.

ვინი მუხის გაფარჩხულ ფესვებს შორის მოკალათდა, დრუნჩი თათებში ჩარგო და თვითონაც ძალიან-ძალიან ღრმად ჩაფიქრდა.



უპირველესად ასე და ამგვარად მიმართა საკუთარ თავს: – ეს ზუზუნი უცილობლად რალაცას უნდა ნიშნავდეს! აბა, ტყუილად ხომ არაფერი იბზუილ-იზუზუნებს ისე, თავისთვის? რამდენადაც მე ვიცი, თუკი რალაცა ბზუის და ზუზუნებს, ე.ი. სადღაც ახლოს ფუტკარი უნდა ბუდობდეს!

ცოტაც ჩაუღრმავდა საფიქრალს და დაამატა: – არადა მე თუ საერთოდ რამე გამეგება, ფუტკარი სწორედ იმისთვის არსებობს, თაფლი აკეთოს!

მერე კი წამოდგა და განაცხადა:

– ხოლო თაფლის გემოს, რამდენადაც მე ვიცი, დათუჩაზე უკეთ ვერც ვერავინ დააფასებს! – ამის თქმა იყო და კენწეროს გრძელ გზასაც აუყვა.

